შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.928)

6-13 ივნისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ეპიდსიტუაცია კახეთსა და საქართველოში

5 ივნისის მონაცემებით, კახეთის რეგიონში თვითიზოლაციაში იმყოფება 8 მოქალაქე. 7 მოქალაქე მოიხსნა თვითიზოლაციიდან. რაც შეეხება კარანტინის სივრცეებს, 5 ლოკაციაზე იმყოფება 176 მოქალაქე. ნიმუშების აღება გრძელდება როგორც ცხელების კლინიკებიდან, ასევე კარანტინის სივრცეებიდან. **ასევე მიმდინარეობს გაფართოებული ანუ მიზნობრივი ტესტირების ფარგლებში მაღალი რისკის ჯგუფების ტესტირებაც, კერძოდ სამედიცინო პერსონალი, შშმ პირების და მოხუცებულთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელები, საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები, კარანტინში მყოფი პირები და კარანტინის მომსახურე სასტუმროს პერსონალი, საბაჟოს თანამშრომლები. 4 ივნისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 116 ნიმუში. ყველა ნიმუშის ტესტირების შედეგი ცნობილია და ნეგატიურია.** სულ კახეთის რეგიონში აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 4396 ნიმუში, აქედან 1363 მედპერსონალია, 1654 კარანტინის ვიზიტორების და სასტუმროს პერსონალი, შშმ პირი - 223, ტრაილერის მძღოლი 28. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცის ცენტრის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, საერთაშორისო გადაზიდვების ე.წ „ტრაილერის“ მძღოლი, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა, მკურნალობას განაგრძობს სამედიცინო დაწესებულებაში. **„განმეორებითი ტესტის პასუხი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. რაც შეეხება, ინფიცირებულის ოჯახის წევრებს, ერთს გაუვიდა კარანტინის ვადა და ტესტის პასუხი უარყოფითია, ხოლო მეორე კონტაქტირებულის, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით ჰქონდა შეხება ინფიცირებულთან, სამ დღეში გასდის კარანტინის ვადა და განმეორებითი ტესტი მასაც ჩაუტარდება. რაც შეეხება დედოფლისწყაროში სიტუაციას,, ამ ეტაპზე მათ გარდა არცერთი თვითიზოლაციაში მყოფი და ინფიცირებული არ ფიქსირდება“.**

საქართველოში 5 ივნისის მონაცემებით კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა- 805, მათ შორის გამოჯანმრთელებული - 650, მათ შორის გარდაცვლილი - 13, კარანტინის რეჟიმში - 2955, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 276, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეები - 3.

დედოფლისწყაროს ბაზარი გაიხსნა

გვ. 5

ალოობის მოლოდინში...

გელა, ათეული წელია, რაც მიწათმოქმედებას მისდევს. წელს ის უხვ მოსავალს ელოდება. როგორც თავად ამბობს, მიწის ნაკვეთს აგროვადების დაცვით მიხედა, რაც კარგი მოსავლის წინაპირობაა. თავთავიანი კულტურებისთვის შესაფერისი პირობები ამინდმაც შექმნა. ადრე დედოფლისწყაროში სასოფლო-სამეურმეო დანიშნულების ტექნიკის დეფიციტი აფერხებდა საჭირო დროს ჩასატარებელ სამუშაოებს. ახლა ეს პრობლემა მოხსნილია. გელაც და სხვა ფერმერებიც მიწის მოხვნასა და დამუშავებას დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრში არსებული ტექნიკით შეუფერხებლად ახორციელებენ.

დედოფლისწყაროში ალოობისთვის ემზადებიან. მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, წელს დედოფლისწყაროში თავთავიანი კულტურების უხვ მოსავალს ელიან. მოსავლის უდანაკარგოდ აღებას კი მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრში „მექანიზატორი“ არსებული ტექნიკით უზრუნველყოფენ.

„სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ ტექნიკა მარცვლოვანი კულტურების მოსავლის აღებაში სრულად ჩაერთვება.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე ოთარ შამუგია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

მარცვლოვანი კულტურების მოსავლის და სასილოსე მასის აღების სამუშაოების შესასრულებლად „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ ტექნიკა სრულ მზადყოფნაშია.

ოთარ შამუგია რეგიონში „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ დირექტორთან, შოთა ჯოგლიძესთან და დედოფლისწყაროს მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

შოთა ჯოგლიძის განცხადებით, მარცვლოვანი კულტურების მოსავლის ასაღებად კომპანიის 100 ერთეული კომბაინია მობილიზებული. საშემოდგომო სამუშაოებისათვის სრულ მზადყოფნაშია 300 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში მოქმედი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების“ პროგრამით, 1,25-დან 10 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელებსა და თანამესაკუთრეებს ხვნის მომსახურების მიღება „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ სერვისცენტრებში შეუძლიათ. ხვნის მომსახურების საფასური 1 ჰა-ზე აგრობარათზე დარიცხული 150 ქულაა.

სოფლის მეურნეობის ლოგისტიკის და სერვისების კომპანია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აგროვადების დაცვით ემსახურება ფერმერებსა და მიწათმოსარგებლეებს. მომსახურება მოიცავს ხვნის, თესვის, ჰერბიციდებით ნათესების დამუშავების, კულტივაციის, ფარცხვის, მინერალური სასუქების შეტანის და მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების სამუშაოებს.

C M Y K

ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან სწრაფად გამოსვლის გეგმაზე პრემიერ-მინისტრი კემბრიჯისა და ლონდონის უნივერსიტეტების წამყვან ექსპერტებთან მუშაობს. **როგორ უნდა შეძლოს საქართველომ გლობალური პანდემიის დასრულების შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე წარმატებული პოზიციონირება, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი ზრდის, კონკურენტუნარიანობის და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით და რა იქნება მთავარი ეკონომიკური პრიორიტეტები მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში,** - საქართველოს მთავრობა მაღალი დონის ექსპერტებისგან დაკომპლექტებულ საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად პოსტკრიზისულ ეკონომიკურ გეგმაზე აქტიურად მუშაობს.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ვიდეოკონფერენციის ფორმატში ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კემბრიჯისა და ლონდონის უნივერსიტეტების პროფესორებთან - ჰა ჯუნ ჩანგთან, კრისტოფერ კრამერთან და ჯონათან დი ჯონსთან სამუშაო შეხვედრა გამართა. მთავრობის მეთაურმა მსოფლიო დონის ეკონომისტებთან ერთად განიხილა, როგორ უნდა დაძლიოს საქართველომ ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევები, როგორიცაა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, სახელმწიფო ვალის მოცულობა და სხვა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური ზრდა თითოეული მოქალაქისთვის ხელშესახები გახდეს. საკონსულტაციო ჯგუფი, პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ, სწორედ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებთან მუშაობის მრავალწლიანი და მაღალი დონის პროფესიული გამოცდილებით შეარჩია.

მსოფლიოს ახალი ეკონომიკური გარემოს შესაბამისი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, ჯგუფის წევრებმა უკვე გამართეს შეხვედრები როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. მაღალი დონის ექსპერტებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფი ქვეყანას კრიზისიდან გამოსვლასა და სწრაფ ეკონომიკურ გაჯანსაღებაში დაეხმარება.

ირაკლი ღარიბაშვილი მაჟორიტარ კანდიდატად კენჭისყრის შესახებ ინფორმაციას უარყოფს

„ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა არცერთ მაჟორიტარულ ოლქში არ განიხილება,“ - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს.

შესაბამისად, უწყებაში ცალკეული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თავდაცვის მინისტრმა შესაძლოა, კახეთის ერთ-ერთ ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად იყაროს კენჭი, მიზანმიმართულ სიცრუეს უწოდებენ.

„გვსურს საზოგადოებისთვის მკაფიოდ განვმარტოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არის მიზანმიმართული სიცრუე და ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა, არცერთ მაჟორიტარულ ოლქში არ განიხილება. თავდაცვის მინისტრის პრიორიტეტს წარმოადგენს სამხედროების ზრუნვისა და მზადყოფნის ამაღლების მიზნით, თავდაცვის ძალებში დაწყებული ძალიან ამბიციური რეფორმები და მოდერნიზაციის გეგმა. მინისტრი სრულად ფოკუსირებულია მათ წარმატებით განხორციელებაზე“, - განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროში.

საქართველომ ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის სამიტში მონაწილეობა მიიღო

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრი ევროპული სამეზობლოსა და ამერიკის საკითხებში უენდი მორტონი, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მხარდაჭერისა და ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის სამიტში მონაწილეობისთვის მადლობას უხდის.სახელმწიფო მინისტრი მორტონი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის მასპინძლობით ორგანიზებულ სამიტში საქართველოს მთავრობის მეთაურის მონაწილეობას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ოფიციალურ გვერდზე ეხმაურება.

„ძალიან მახარებს ასეთი ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიასგან, რომელიც დღეს ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის სამიტში მონაწილეობით გამოიხატა. საერთაშორისო თანამშრომლობა ვაქცინაციისა და იმუნიზაციის საკითხებზე ახლა იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ვამაყობ საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებით!“, - წერს უენდი მორტონი „ტვიტერში“.

განცხადებას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგი ცნობილია

გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას ივლისის პირველ რიცხვებში გეგმავს. ინფორმაციას ამის შესახებ https://edu.aris.ge/ ავრცელებს.

ამ ეტაპზე ცენტრი გამოცდების ჩასატარებლად აუცილებელ მოწყობილობებს და აქსესუარებს ყიდულობს. უწყება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განუმარტავს, რომ გამოცდების ჩატარება ივლისის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი, რისთვისაც საგამოცდო ცენტრები ყველა საჭირო ინვენტარით უნდა იყოს აღჭურვილი.

„ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდების, საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირების ჩატარების დაწყება იგეგმება 2020 წლის ივლისის პირველ რიცხვებში და საორიენტაციოდ გაგრძელდება ერთი თვე. გამოცდების დაწყებამდე საგამოცდო ცენტრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო საქონლითა და მომსახურებით“,- ვკითხულობთ უწყების მიმართვაში.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სადეზინფექციო საშუალებებში 27 500 ლარს გადახდას გეგმავს, სამედიცინო მოწყობილობისთვის კი - 266 250 ლარს. შესყიდვის ჯამური თანხა 1 676 270 ლარია.

„თავდაცვის ძალების წინააღმდეგ სიცრუეზე დაფუძნებული ნეგატიური კამპანია მზადდება“

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, საქართველოს თავდაცვის ძალების წინააღმდეგ მორიგი, სიცრუეზე დაფუძნებული ნეგატიური კამპანია მზადდება, რომელიც ევროპული წარმოების სამხედრო ფეხსაცმლის, მათ შორის დაბალყელიანი ჩექმის შემოტანას ეხება.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თავდაცვის ძალებისთვის ბაზრის ლიდერი კომპანიების მიერ დამზადებული ზამთრის და ზაფხულის სამხედრო ფეხსაცმელები შეიძინეს, რომელიც სამინისტროს განმარტებითვე, წყალგამძლე, ქარგაუმტარი და ჰაერგამტარია, ყველა ის შესაძლო ბრალდება კი, რაც პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების მხრიდან შეიძლება გავრცელდეს, უსაფუძვლოა და მიმართულია ჯარის საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯების დასაკნინებლად.

„კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის მქონე პარტიების, კერძოდ, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მასთან დაკავშირებული პირებისა და მედიასაშუალებების მხრიდან მზადდება მორიგი, სიცრუეზე დაფუძნებული ნეგატიური კამპანია საქართველოს თავდაცვის ძალების წინააღმდეგ. საქმე ეხება, ისტორიაში პირველად შემოტანილი უმაღლესი ხარისხის, ევროპული წარმოების სამხედრო ფეხსაცმლის, მათ შორის „ბათინკების“ შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებას.

ამასთან დაკავშირებით გვსურს საზოგადოებამ იცოდეს, რომ თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თავდაცვის ძალებისთვის შეიძინეს ბაზრის ლიდერი კომპანიების - „ლოვას“ და „ჰაიქსის“ მიერ დამზადებული ზამთრის და ზაფხულის სამხედრო ფეხსაცმელები. ახალი წყალგამძლე, ქარგაუმტარი და ჰაერგამტარი ფეხსაცმელი წარმოებულია მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სისტემების მქონე საწარმოში, რომელიც ასევე ამარაგებს გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, შვეიცარიის, პოლონეთის, თურქეთის, ბელგიის, ირლანდიის, დანიის და სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს. აღსანიშნავია, რომ ფასები მნიშვნელოვნად დაბალია მათ საბაზრო ღირებულებაზე, ასევე სხვა ქვეყნების შესყიდვებთან შედარებით, რაც გამოწვეულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ წარმატებული კომუნიკაცია-მოლაპარაკებით და ასევე, კონტრაქტის შუამავლების გარეშე პირდაპირ მწარმოებლებთან გაფორმებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კომპანიებს ჰყავთ საქართველოში წარმომადგენლები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველა ის შესაძლო ბრალდება, რაც პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების მხრიდან შეიძლება გავრცელდეს სოციალურ ქსელსა თუ ტელევიზიაში, უსაფუძვლოა და მიმართულია ჯარის საკეთილდღეოდ და გასაძლიერებლად გადადგმული წარმატებული ნაბიჯების დასაკნინებლად. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკურ ძალას შეწყვიტოს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, რაც გამოიხატება ჯარის მიმართ მსგავსი დისკრედიტაციის კამპანიების წარმოებით“, - ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩუგოშვილი: პირბადის არასწორი ტარებისთვის 50 ლარიანი ჯარიმა გამართლებულია

„მთავარია, ჯარიმა არ იყოს არაპროპორციული,”-ამის შესახებ განცხადება დამოუკიდებელმა დეპუტატმა, თამარ ჩუგოშვილმა გააკეთა. ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც პირბადის არასწორი გამოყენება დასჯადი ქმედება ხდება.

„მთავარია, ჯარიმა არ იყოს არაპროპორციული, არათანაზომიერი და იმდენად დიდი, რომ საზოგადოებას სასჯელად დააწვეს. გვქონდა 3000-ლარიანი ჯარიმები და უფრო მკაცრი ზომებიც, რაც იყო არაპროპორციულად მკაცრი და ახლა უწევთ ფიქრი იმაზე, ჯარიმების ტვირთი როგორ მოუხსნან საზოგადოებას. მოქალაქეების მხრიდან გარკვეული წესების შესრულება მნიშვნელოვანია, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსის გავრცელება. თუ პროპორციული ჯარიმა იქნება, შეიძლება, ეს გამართლებული იყოს და ამას არ ვეწინააღდეგები. ალბათ, 50-ლარიანი ჯარიმის საკითხი სუბიექტური შესაფასებელია, ეს ჯარიმა ვერც ძალიან დაბალი და ვერც ძალიან მაღალი ვერ იქნება. ალბათ, შესაძლებელია, ამ სიტუაციაში 50-ლარიანი ჯარიმა გამართლებული იყოს ისევ იმიტომ, რომ ერთმანეთი დავიცვათ ვირუსის გავრცელებისგან“, - განაცხადა ჩუგოშვილმა.

პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმა დაწესდება. შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შედის.

ცვლილებათა პროექტის თანახმად, დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის ფიზიკური პირი დაჯარიმდება 50 ლარით. ამასთან, პირბადის არმქონე პირის დახურულ საჯარო სივრცეში დაშვებისთვის დახურული საჯარო სივრცის მფლობელი იურიდიული პირი დაჯარიმდება 500 ლარით.

რომელი პროდუქტები გაძვირდა ბოლო 1 წლის განმავლობაში ?

ერთი წლის განმავლობაში ხილი 47%-ით, რძის ნაწარმი 25%-ით, ხორცპროდუქტები 13.5%-ით, პურპროდუქტები კი 9.2 პროცენტით გაძვირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მაისში წლიური ინფლაციის დონემ 6.5 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა **14.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 4.58 პროცენტული პუნქტით აისახა. კერძოდ, ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (47.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (24.6 პროცენტი), თევზეული (17.1 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (14.5 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (13.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (13.5 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (13.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.5 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (9.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (2.7 პროცენტი).**

ამასთან, ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 4.6 პროცენტით. ფასების კლება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-6.9 პროცენტი).

გაერთიანებულ ოპოზიციაში დაპირისპირება ღრმავდება

გაერთიანებული ოპოზიციის თავზე შავი ღრუბელი გროვდება. როგორც ჩანს, ოპოზიციაში უკვე დიდი ხანია საერთო მაჟორიტარულ კანდიდატებთან დაკავშირებით ვერ თანხმდებიან. როგორი იქნება ოპოზიცია არჩევნებზე წარმოდგენილი? - კოალიცია, საერთო მაჟორიტარები თუ დამოუკიდებლად მონაწილეობა, ჯერ კიდევ უცნობია. თუმცა დაპირისპირების აშკარა ნიშნები ჩნდება. "ევროპულმა საქართველომ" "ნაციონალურ მოძრაობასა" და გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ ყველა პარტიას მოუწოდა, დაიწყოს კონსულტაციები და შეთანხმდნენ პირველ რიგში თბილისის საერთო მაჟორიტარ კანდიდატებზე. პარტიაში ფიქრობენ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წევრების ბოლო განცხადებები აჩენს ეჭვს, რომ ისინი შეთანხმების დარღვევას აპირებენ.

„საერთო მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმება ოლქების დიდ ნაწილში და პირველ რიგში, თბილისში, ეს არის საკვანძო ელემენტი ოპოზიციის გამარჯვებისთვის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში“, - ამის შესახებ "ევროპული საქართველოს" თავმჯდომარემ, **დავით ბაქრაძემ** ბრიფინგზე განაცხადა. ბაქრაძე ოპოზიციურ პარტიებს ერთიანი მაჟორიტარი კანდიდატების საკითხზე არსებული შეთანხმების ერთგულებისკენ მოუწოდებს. ამბობს, რომ "ევროპული საქართველო" მზად არის, უახლოეს დღეებში სხვა ოპოზიციურ პარტიებს შეხვდეს და შეთანხმდნენ, ვინ იქნებიან ოპოზიციის საერთო მაჟორიტარობის კანდიდატები. **„საერთო მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმება ოლქების დიდ ნაწილში და პირველ რიგში, თბილისში, ეს არის საკვანძო ელემენტი ოპოზიციის გამარჯვებისთვის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. ამიტომ მთლიანად მხარს ვუჭერთ და მზად ვართ კონსულტაციებისთვის, ოღონდ არა ზოგადი კონსულტაციებისთვის - მზად ვართ, შევიკრიბოთ და უახლოეს დღეებში შევთანხმდეთ იმაზე, თუ ვინ იქნებიან ოპოზიციის შეთანხმებული კანდიდატები პირველ ეტაპზე თბილისში და შემდეგ უკვე გაგრძელდეს საუბარი თბილისის გარეთაც. ჩვენ ამის მზადყოფნას ვადასტურებთ“,** - განაცხადა ბაქრაძემ.

მაჟორიტარების საერთო კანდიდატებთან დაკავშირებით დისკუსია მას შემდეგ დაიწყო, რაც რამდენიმე დღის წინ, "ლელომ" ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ ისინი გაერთიანებულ ოპოზიციას არ უერთდებოდნენ და 30-ვე ოლქში საკუთარ კანდიდატს დაასახელებდნენ.

ამის შემდეგ, მორიგი განცხადება უკვე გუბაზ სანიკიძემ გააკეთა. თქვა, რომ უკვე გარკვეულია, რომ საერთო კანდიდატებზე მთლიანად შეთანხმება ვერ მოხდება. "ლელო" კი ისევ ძველ პოზიციაზეა - 30-ვე ოლქში პარტიას მაჟორიტარობის საკუთარი კანდიდატი ეყოლება, თუმცა, ბადრი ჯაფარიძე არ გამორიცხავს, რომ ოპოზიციასთან აქტიური კოორდინაცია და დისკუსიაც იყოს იმ საკითხებზე, რომლებიც საერთო მაჟრიტარული კანდიდატების დასახელებას შეეხება. არც ის იქნება დიდი უბედურება, თუ ვერ მოხდა შეთანხმება, თუმცა სჯობს, რომ მნიშვნელოვან ოლქებში ეს მოხდეს, - ასე ეხმაურება "ნაციონალური მოძრაობის" წევრი **რომან გოცირიძე** საერთო მაჟორიტარებთან დაკავშირებით "ევროპული საქართველოს" ლიდერების განცხადებას და ამბობს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" მაჟორიტარების ერთიან კანდიდატებთან დაკავშირებით საუბრის გასაგრძელებლად, მზადაა.

„არის უამრავი პარტია, რომელსაც დაბალი ბარიერით გაუჩნდა შანსი ერთი დეპუტატის ძალიან მარტივად გაყვანის, ამისთვის სულ რაღაც 15000 ხმა სჭირდებათ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მაჟორიტარულ, არამედ პროპორციულ სისტემაზე მუშაობა და 30-ვე ოლქში თავიანთი კანდიდატის დაყენება. საკონსტიტუციო ცვლილებები ხელს უწყობს პარტიების ორიენტირებას პარტიულ სიაზე და არა მაჟრიტარულ ოლქებზე“, - ამბობს გოცირიძე. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერეთი ლიდერი დავით ბერძენიშილი „ევროპული საქართველოს“ წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. მან „ევროპული საქართველოს“ ბრიფინგს თავის დაზღვევა და უკან მიდევნებული ლამპარი უწოდა. "არაფერი პორბლემა არ არის, თავის დაზღვევის უფლება აქვს ყველა პარტიას, მაგრამ ამასთანავე მე ძალიან მყარად ვიცი, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და სხვა პარტიებთან შეთნხმებით", - აცხადებს ბერძენიშვილი. ანალიტიკოსი და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „რეზონანსთან“ აცხადებს, რომ მას არც ჰქონდა ილუზია და მოლოდინი, რომ რეალურად ოპოზიციაში საერთო მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმდებოდნენ".

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, **ზაალ უდუმაშვილის** განცხადებით, პარტიამ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა თბილისის 8 ოლქიდან 6 ოლქი დათმო.

მისი თქმით, ახლა ამ პროცესებმა საკონსულტაციო მაგიდასთან უნდა გადაინაცვლოს და ოპოზიციამ ერთად უნდა აჩვენოს, რომ ერთიანობის ერთგულია.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ერთგულები ვართ იმ პრინციპების, რომელიც გაერთიანებას უკავშირდება.

პრაქტიკულად მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ თბილისის მაჟორიტარული ოლქების 80% დაუთმო დანარჩენ ოპოზიციას და ახლა ჯერი სხვა ოპოზიციურ პარტიებზეა და იმ შეთანხმებაზე, რომელიც საბოლოოდ უნდა გაფორმდეს - თუ როგორ გადანაწილდება თბილისის მაჟორიტარული ოლქები.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოლქები განაწილდეს სამართლიანად ანუ, წარმოდგენილი იყოს ყველა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც თბილისში ძლიერი მაჟორიტარობის კანდიდატი ჰყავს.

ახლა ამ პროცესებმა საკონსულტაციო მაგიდასთან უნდა გადაინაცვლოს და ოპოზიციამ ერთად უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ერთიანობის ერთგულები ვართ“, - განაცხადა უდუმაშვილმა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ოპოზიციაში განხეთქილება, დიდი ხანია, უკვე დაწყებულია. მისი აზრით, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბოლო დროს იკრიბებიან, თუმცა ამბავი იქიდან არაფერი გამოაქვთ. ანალიტიკოსი ეჭვობს, რომ შეთანხმება ვერ ხერხდება 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით და ამიტომაც სათქმელიც ჯერ არაფერი აქვთ. **"სავარაუდოა, რომ ოპოზიციის შიგნით უკვე ჭიდაობაა დაწყებული. ლოგიკურია, რომ პარტიებს, რომლებსაც მეტი რეიტინგი აქვთ, უფრო მეტი პრეტენზიებიც გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ყველას თავისი ამბიცია აქვს და შეთანხმების იმედი ნაკლებად მაქვს. ამიტომაც ამაზე საუბარი არ სურთ. თითქმის ყველამ თქვა, მაჟორიტარად მივდივართო. ეს იმას ნიშნავს, რომ შეთანხმება ვერ ხერხდება, ასევე იმას, რომ პარტიების უმეტესობა საჭირო ხმების რაოდენობას ვერ აიღებს. კი იძახდნენ იქამდე არიქა პროპორციული სისტემა გვინდაო, მაგრამ ახლა თავისთვის ეს პროპორციული სისტემა არ უნდათ. ეს იმისთვის უნდოდათ, რომ ამით "ოცნება" დაესუსტებინათ. პოლიტიკოსისთვის რომ პროპორციული სისტემა სახეირო არ არის, ახლა ჩანს. სახელიანი პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ ხმების რაოდენობა თავად აიღონ. პარტიები ფაქტობრივად მარცხისთვის ჰყავთ მიშვებული. რახან იციან, რომ პარტიებს ნაკლები გასვლის შანსი აქვს, ამიტომ მაჟორიტარებად თავად გამოდიან. მგონია, რომ "ნაციონალების" და "ევროპელების" გარდა, დიდად ამ ოპოზიციაში პარტიებს გასვლის შანსები არა აქვთ. ამიტომ არის, რომ ვერაფერზეც ვერ თანხმდებიან და ვერც შეთანხმდებიან“,** - დაასკვნის რამაზ საყვარელიძე.

კონკურსი „ეს ჩვენი საქართველოა“

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა დაასრულა კონკურსი „ ეს ჩემი საქართველოა''. ქალაქის ყველა სკოლა აქტიურად იყო ჩართული, თუმცა განსაკუთრებული მონდომებით და აქტიუროობით გამოირჩეოდნენ საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

„უღრმესი მადლობა ყველას. ახლა კი წარმოგიდგენთ ნახატების ნომინაციაში გამარჯვებულ საუკეთესო ხუთეულს: პირველი ადგილი ყველაზე მეტი ლაიქით ერგო საპატქრიარქოს სკოლის მოსწავლეს ნიკოლოზ ჯინაშვილს. მეორე ადგილი ისევ საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეს ილია ტოკლიკიშვილს, მესამე ადგილზე გავიდა ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლე გარნიკ ტუმასიანი. ლაიქებით შემდეგ მოყვებიან ელენე სესიტაშვილი, ნინო ალუღიშვილი, მარიამ კვესაძე, ელენე კოხტაშვილი და სხვები. აქვე მინდა შევეხო ელენე სესიტაშვილს. ის საპატრიარქოს სკოლის მოსწალეა. მისი ნახატი ძალიან ღრმა შინაარსიანია. ნოდარ დუმბაძის სიტყვებს მახსენებს -,, იქნებ ვაზია სამშობლო''. მის ნახატში ვაზი მთელ საქართველოს გასდევს და ეს ძალიან სიმბოლურია. მადლობა ელენე. შენ ჩემი რჩეული ხარ. ახლა მივყვეთ შემდეგ ნომინაციებს. საკუთარი ლექსის ნომინაციაში გამარჯვებულია საპატრიარქოს სკოლის მოსწალე თინათინ ნიკოლაიშვილი. ამ

სათნო და ნიჭიერ გოგონას კარგად იცნობთ. მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეებზე. ესენი არიან პირველი სკოლის მოსწავლეები და-ძმა დაჩი და ნია ივანიძეები. მათ ნახატთან ერთად გამოგვიგზავნეს საკუთარი ლექსები და ორივეს მივანიჭეთ მეორე ადგილი. ასევე მინდა განსაკუთრებულად გამოვყო საპატრიარქოს სკოლის მოსწალე გიორგი კოჭლამაზაშვილი. მან გამოგვიგზავნა საკუთარი ხელით შექმნილი გამოძერწილი ფიგურები როლებიც ძალიან თემატურია და იმსახურებს უფრო ფართო საზოგადოება იცნობდეს. ვფიქრობთ მოვუწყოთ მ. ახალგაზრდობის სახლში გამოფენა.ამ ნომინაციაში ის არის გამარჯვებული. ასეთი შედეგებით დასრულდა ჩვენი კონკურსი. ვულოცავთ გამარჯვებულებს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს. გასაგებია, რომ ბევრი კონკურსანტი დარჩა გულდაწყვეტილი, რადგან შეფასება იყო ლაიქებით და ვერ იქნებოდა მთლად ობიექტური, მაგრამ არ ინერვიულოთ. ყველას მოგიწვევთ სექტემბერში მ. ახალგაზრდობის სახლში თქვენი ნამუშევრებით და შეგაფასებთ ობიექტური ჟიური. მანამდე კი მოემზადეთ ახალი კონკურსისთვის, რომელსაც უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ. თქვენგანაც ველით იდეებს. რა სახით ისურვებდით მ. ახალგაზრდობის სახლთან ურთიერთობას, რა თემაზე გინდათ იყოს შემდეგი კონკურსი. ველით თქვენს იდეებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ და მადლობა ყველას. მოსწავლე“ - აღნიშნიშნავს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ლაპიაშვილი

გაძვირდება თუ არა სალონების მომსახურება?

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით,რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნას ეხება, სილამაზის სალონებმა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრებმა დაიწყო ფუნქციონირება. ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ობიექტები მოწმდება. იმისთვის, რომ მათ საქმიანობის უფლება მიეცეთ, უნდა აკმაყოფილებდნენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს. როგორც საქართველოს სალონების ფედერაციის განცხადებაშია აღნიშნული, სილამაზის სალონები საშუალო რისკის მატარებელ ობიეტებს მიეკუთვნება და მოუწევთ იმ წესების შესრულება, რომელიც გაწერილია მთავრობის დადგენილებაში. კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებსაც სალონების ფედერაცია აქვეყნებს, ასე გამოიყურება:

. სალონებმა უნდა შეიძინონ უკონტაქტო თერმომეტრები, დამცავი ფარები, დეზობარიერები, ნიღბები და ხელთათმანები.

. ყველა თანამშრომელი ვალდებულია, სამსახურში გამოცხადებისთანავე გაიზომოს სიცხე და აღრიცხვის ჟურნალში შეიტანოს მონაცემები.

. კარებში უნდა იდგეს ერთი თანამშრომელი, რომელიც შემოსულ მომხმარებელს გაუზომავს სიცხეს, დააბანინებს ხელს/დეზინფექციას გაუკეთებს სადეზინფექციო სხნარით, რომელიც იქვე იქნება მოთავსებული. აუცილებელია, ყოველი კლიენტის მონაცემები (ტემპერატურა) შეტანილი იქნას აღრიცხვის ჟურნალში;

. ხელოსნებს შორის, ასევე მომხმარებლებს შორის მანძილი უნდა იყოს 2 მეტრი;

. მომხმარებლებს უნდა ეკეთოთ ნიღბები და ხელთათმანები, ხოლო ხელოსნებს ფარები, ნიღბები და საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, მანიკიური, კოსმეტოლოგი) ხელთათმანი;

. ერთ სივრცეში მაქსიმუმ 5 ადამიანის ერთად ყოფნაა შესაძლებელი.

. ვისაც გრძელი თმა აქვს (ხელოსნებს), უნდა დაიმაგრონ;

. აკრძალულია მუშაობის პროცესში მობილური ტელეფონების გამოყენება;

. დამლაგებელმა ხშირად უნდა წმინდოს იატაკი სადეზიფექციო ხსნარით, ხოლო სველი წერტილები, ყოველი მომხმარებლის შემდეგ;

. აუცილებელია, სილამაზის სალონების მფლობელებმა შეავსონ სპეციალური ფორმა, სადაც უნდა მიუთითონ სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც თანამშრომლები დადიან.

. ადმინისტრატორებმა ტელეფონი ყოველი საუბრის შემდეგ სადეზენფიქსაციო ხსნარით უნდა გაწმინდონ.

სილამაზის სალონებისთვის დაწესებული შეზღუდვები, თანამშრომლებს სახლში დარჩენაზე ფიქრს აიძულებს. თვითდასაქმებულები ფიქრობენ, რომ პირბადეების, ხელთათმანების, დეზობარიერების, თერმომეტრებისა და მომსახურებისთვის საჭირო პროდუქტის შეძენა გაძვირებული ფასებით მოუწევთ, რაც მათი მომხმარებლის

რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. სალონების მფლობელები დაბნეული არიან, ვის და ვის შორის უნდა იყოს დაცული 2-მეტრიანი დისტანცია. ძალიან ბუნდოვანია რამდენი ადამიანის ერთად ყოფნა არის შესაძლებელი ერთ სივრცეში. ზოგს 10 კვ.მ. სალონი აქვს, ზოგს 200-300 კვ.მ.

რეკომენდაციების დაცვით, მომსახურების ღირებულებაც გაიზრდება, რაც არც მომხმარებლისთვის არის მისაღები და სტილისტებსაც პრობლემებს შეუქმნის.

„თუ დღეში კლიენტების განსაზღვრულ რაოდენობას მაინც არ მივიღებ, მაშინ ქირას ვერ გადავიხდი, პლუს მაღალი კომუნალური გადასახადები გვაქვს, იმიტომ, რომ კომერციული ფართია. შეჭრა ღირს 5 ლარი, 10 ლარი რომ გავხადო, არავინ მოვა.“

„ეს მოთხოვნები რომ შევასრულოთ, თმის შეჭრისა და შეღებვის ფასი 3-ჯერ გაიზრდება და პლუს ამას, შეზღუდული გვექნება თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობა: ტელეფონზე ვერ ვუპასუხებთ მუშაობისას, ცოცხსა და მსგავს ნივთებს არ უნდა შევეხოთ ხშირად, ჟურნალი უნდა შევავსოთ ან უნდა ავიყვანოთ პიროვნება, რომელიც ამ ყველაფერს შეასრულებს“.

„პირბადე და ხელთათმანი ისედაც უნდა იყოს და ჩვეულებრივი რამეა, მაგრამ თერმომეტრი 300 ლარიანია, ძვირი ღირს, ასევე დეზობარიერები. ფედერაციამ დაწერა, რომ ჯერ მოვერიდოთ თერმომეტრის ყიდვას, იმიტომ, რომ ძვირია და შეიძლება შეიცვალოს რამე. ასევე შესაძლებელია შეიძლება გაიზარდოს ფასები, იმიტომ, რომ ბევრი რამის შეძენა მოგვიხდება.“

დედაქალაქში სილამაზის სალონების დაჯარიმება დაიწყო. პარალელურად, ეს პროცესი მიმდინარეობს რეგიონებში, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. პრობლემა, შესაძლოა, ბევრ ესთეტიკურ ცენტრს შეექმნას, რადგან მათი მფლობელები ჯერ კიდევ ვერ იაზრებენ მოსალოდნელ საფრთხეს. შემოწმება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: არის თუ არა სალონი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და ახორციელებს თუ არა ინფექციის კონტროლს.

თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი ციცო დილებაშვილი აცხადებს, რომ სალონების მხრიდან დიდი წინააღმდეგობაა. რიგ შემთხვევაში საქმე ქუჩურ გარჩევებამდეც მივიდა. თუ სალონს ამ დრომდე არ აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის სტატუსი, მას 500-ლარიანი სანქცია დაეკისრება. თუ იგივე ობიექტი ხელმეორე შემოწმების დროსაც არ იქნება დარეგისტრირებული, ჯარიმა გაორმაგდება. თუ ოქმის შედგენის და გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, დარღვევა არ აღმოიფხვრება, კონკრეტული საქმე საქალაქო სასამართლოს გადაეცემა, ხოლო ათი დღის შემდეგ შსს-ს ანალიტიკურ განყოფილებას. ესთეტიკური ცენტრებისა და სილამაზის სალონების რეგისტრაცია სავალდებულო 1 ოქტომბრიდან გახდა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ყველა ის დაწესებულება, რომელიც რეგისტრაციის გარეშე განაგრძობს საქმიანობას, დაჯარიმდება. უწყების ცნობით, სილამაზის სალონების შემოწმება ეტაპობრივად მოხდება.თბილისის მერიის სამსახურის თანამშრომლები პარალელურად სალონებს ინფექციურ დაავადებებზე შეამოწმებენ. ამ მიმართულებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ობიექტებს პირველ ეტაპზე გამოსასწორებლად გონივრული ვადა მიეცემათ, შემდეგ კი 50-დან 100-ლარამდე დაჯარიმდებიან. იგივე პროცესი მიმდინარებს რეგიონებშიც. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებს წელიწადში ერთხელ შეამოწმებენ, თუმცა, მათ აქვთ უფლება მონიტორინგი საჩივრის საფუძველზეც ჩაატარონ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რაიონში ? ჩვენ ვესტუმრეთ რაიონში არსებულ სილამაზის სალონებს და მოვისმინეთ მათი მოსაზრებები შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

სილამაზის სალონი „შვარცკოფი“: **„შეძენილია რეკომენდაციებით მოთხოვნილი ყველა ნივთი და მასალა. ამ ეტაპზე ჩვენი მომსახურების ფასი იგივე რჩება, რადგან გვქონდა დარჩენილი მარაგი და ვიდრე შეძენა გახდება საჭირო, მომსახურების ფასს არ ვცვლით.“**-აღნიშნა ჩვენთან საუბარში ირმა შარმაზანაშვილმა.

სალონი „თოლია“ – მარინა პუტი - **„ვიცავთ დადგენილ წესებს. მთავრობის რეკომენდაციით დადგენილი ნორმების შესრულებას უზრუნველყოფთ. მომსახურების ფასი არ შეგვიცვლია, იგივეა ჯერ-ჯერობით“.**

ირმა ბადრიშვილი, კოსმეტოლოგი: - **„უსაფრთხოების ზომები დაცულია მაქსიმალურად. ჯერ-ჯერობით ფასები იგივეა, მაგრამ დისტრიბუციის შემოტანილი მასალები სამმაგადაა გაძვირებული. ალბათ ვერ შევძლებთ ძველი ფასებით გავაგრძელოთ მუშაობა . რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არც ჩემთვის და არც კლიენტებისთვისაა სასიამოვნო.“**

გამოკითხულთაგან ყველას აწუხებს სამუშაო მასალის გაძვირების პრობლემა, რადგან იძულებული იქნებიან გააძვირონ ფასი. ეს კი უარყოფითად აისახება მომსახურების მსურველთა რაოდენობაზე.

დავინტერესდით, რეგულაციების დაცვის მიზნით შესაძენ ნივთებზე ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე სახის კომპენსაცია ან დახმარება. პასუხი ყველგან ერთია, საკუთარი სახსრებით ხდება ყველაფრის შეძენა და არანაირი დახმარება არ ყოფილა სახელმწიფოს მხრიდან.

სილამაზის სალონების მეპატრონეთა განცხადებით, შექმნილ სიტუაციაში ბევრი სალონი ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. ზოგი, ეს განსაკუთრებით მცირე დატვირთვის სალონებს ეხება, გაკოტრდება და დაიკეტება, ზოგიერთი კი იძულებული გახდება, მომსახურება გააძვიროს.

თუმცა, ამის მიუხედავად ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ამბობენ, რომ მთავარია, ახალი კორონავირუსი დამარცხდეს და საქმიანობის დროებით შეწყვეტას როგორმე გადაიტანენ.

ხათუნა ბენაშვილი

პანდემია და ტრანსპორტი

ნათელა 58 წლისაა. ის დედოფლისწყაროში ცხოვრობს და მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო წვრილმანი ნივთებით ვაჭრობაა. მისი მომხმარებლების სია მეზობლებით იწყება და უფრო ფართო ფენებსაც მოიცავს.

ნათელას მიერ შემოთავაზებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, რადგან ხშირ შემთხვევაში ის თავად აკითხავს მომხმარებელს და თან „ნისიებზე" ვაჭრობს. საშეღავათო პერიოდი ინდივიდუალურია და თან უპროცენტო. როგორც ის ამბობს, თვეში ორჯერ თბილისში, „ლილოს ბაზრობას" სტუმრობს და საჭირო ნივთებს აქ ყიდულობს. მესამე თვეა, ის შემოსავლის გარეშეა დარჩენილი. კოვიდ-19-მა მისი ცხოვრებაც შეცვალა.

ახლა ბაზრობა გაიხსნა, მაგრამ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობა ჯერ არ აღმდგარა. ამიტომ ბაზრობაზე ჯერ ვერ მიდის. **„ტაქსით მგზავრობის ფასი 20 ლარს შეადგენს. ორივე გზაზე 40 ლარი მჭირდება. ეს ძალიან დიდი თანხაა ჩემთვის. ველოდები, როდის დაიწყებენ მოძრაობას სამარშრუტო ტაქსები"** -ამბობს ის.

ნათელას მსგავსად საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღდგენას მოსახლეობის დიდი ნაწილი ელის. რეგიონების მოსახლეობა სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის დროებითმა აკრძალვამ პრობლემების წინაშე დააყენა. ზოგს სამედიცინო თვალსაზრისით ექიმთან ვიზიტი გადაუვადდა, ზოგიერთმა კი ნათესავების მონახულება ვერ შეძლო. როგორც მოსახლეობა აცხადებს, კერძო ტაქსებით გადაადგილება საკმაოდ ძვირი

სიამოვნებაა და შეზღუდული ფინანსური მდგომარეობის პირობებში ადამიანებს ბევრ რამეზე უწევთ უარის თქმა.

ახალმა კორონავირუსმა და შემოღებულმა შეზღუდვებმა, მოსახლეობასთან ერთად, პრობლემები შეუქმნა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსაც. შექმნილმა სიტუაციამ ისინი შემოსავლის გარეშე დატოვა. „დავემორჩილეთ სახელმწიფოს გადაწყვეტილებას და თვეებია, სახლებში, შემოსავლის გარეშე ვსხედვართ. ზოგს გარკვეული დანაზოგი გვქონდა, მაგრამ ახლა უკვე ყველანაირი რესურსი ამოგვეწურა. უსაქმურობამაც შეგვაწუხა. მოსახლეობაც გვირეკავს, ბევრს აუცილებელი საქმე აქვს თბილისში, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ახერხებს წასვლას."-ამბობენ სამარშრუტო ტაქსის მძღოლები.

საქალაქთაშორისო მგზავრობა 8 ივნისიდან აღდგება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მგზავრობისას დაწესებული იქნება გარკვეული შეზღუდვები. მგზავრობისას აუცილებელი იქნება პირბადის ტარება.

„აუცილებელია პირბადის ტარება. ამაზე პასუხისმგებელი იქნებიან მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ან კერძო ტრანსპორტის მფლობელები",-აღნიშნა გიორგი გახარიამ.

დედოფლისწყაროელი მოსახლეობაც და მძღოლებიც მოუთმენლად ელიან საქალაქთაშორისო მგზავრობის აღდგენას და მზად არიან, დაწესებული შეზღუდვები ზედმიწევნით დაიცვან.

ინგა შიოლაშვილი

რა ეპიდემიოლოგიურ საფრთხეებს ხედავენ საზღვრების გახსნაში?

საქართველო ტურისტების მიღებისთვის ემზადება – ტურისტების მიღებას ასევე პროგნოზირებენ ისეთი ქვეყნებიც, სადაც ეპიდემიოლოგიური კუთხით განსაკუთრებით რთული სიტუაცია იყო. რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს ტურისტების მიღება ქვეყნებისთვის და რა რისკებზე მიდიან ტურისტების მიღებით ისეთი ქვეყანები, რომელებიც კორონავირუსს მეტ-ნაკლებად კარგად გაუმკლავდნენ. ინფექციონისტების განმარტებით, საქართველოში ტურისტების შემოსვლასთან დაკავშირებით თეორიულად რისკები არსებობს, თუმცა, მისი თქმით, დაავადებათა კონტროლის ცენტრს რისკების მინიმუმამდე დაყვანის გეგმა აქვს შემუშავებული, რაც სახელმწიფოს დაეხმარება, რომ ეპიდვითარება ტურისტების ნაკადმა არ გააუარესოს.

„თეორიულად რა თქმა უნდა რისკები არსებობს, იმიტომ, რომ, თუ ტურისტები ისეთი ქვეყნებიდან შემოვლენ, სადაც კორონავირუსის მაღალი გავრცელებაა რა თქმა უნდა, შესაძლოა, რომ ვიღაც ინფიცირებული იყოს. თუმცა, დაავადებათა კონტროლის ცენტრს გეგმა აქვს შემუშავებული, თუ ამ ადამიანების შემოწმება როგორ უნდა მოხდეს და მინიმუმამდე დავიდეს რისკი იმისა, რომ ტურისტული სეზონის გახსნის შემდეგ, სხვა ქვეყნიდან საქართველოში ახალი შემთხვევების შემოდინება არ მოხდეს. ეს გეგმა მე როგორც ვიცი, უკვე არსებობს, რა თქმა უნდა, არანაირი ბერკეტი არ არსებობს იმისა, რომ 100%-ით ერთეული შემთხვევების შემოსვლა გამოვრიცხოთ, მაგრამ ამ გატარებული ღონისძიებებით ამის მინიმალიზაცია მოხდება. საქართველოს ჯანდაცვის სფერო მზადაა, რომ ერთეული შემთხვევები თუ გაიპარება, ამის დროული გამოვლენა და შემდეგ ამ ყველაფრის ლოკალიზაცია მოხდეს, რათა გავრცელება არ იყოს და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია არ გაგვიუარესდეს", -აცხადებს ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა.

„ამიტომაც ჩვენს ჯანდაცვის სისტემას ამის მზადყოფნა აქვს, ეპიდემიოლოგიურ სამსახურებს ამისი გეგმა აქვთ, ეს ყველაფერი კონტროლქვეშ იქნება და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ტურისტების შემოსვლა ჩვენს ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას დიდწილად არ გააუარესებს, რადგანაც ყველა ტურისტის შემოსვლა სკულპტუროზულად განხილული იქნება და შესაბამისი გამოკვლევები ჩაუტარდებათ. ჩვენი ქვეყნისთვის კი ტურისტები აუცილებელია, იმიტომ, რომ ისედაც ეკონომიურად საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა და ტურისტული სეზონის სრული ჩავარდნა, ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება" - თქვა გოგინავამ. შერიგების საკითხებში საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი ამბობს, რომ ტურისტული სეზონის გახსნა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საზღვრები ყველა ქვეყანასთან გაიხსნას".

„პირველ რიგში ალბათ ტურისტული სეზონის გახსნა არ უნდა ნიშნავდეს საზღვრების გახსნას აბსოლუტურად ყველასთან. ჩემი აზრით, ალბათ, განსაზღვრული იქნება სახელმწიფოები, რომლის ტურისტებსაც შემოსვლის უფლება მიეცემათ. საქართველოს კანონმდებლობით ალბათ ექნებათ ის ჩამონათვალი, თუ კორონავირუსს რომელი სახელმწიფოები უმკლავდებიან კარგად. უნდა იყოს ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ან იმის ცნობა, რომ კორონავირუსი გადაიტანა, ან კარანტინი გაიარა, ანუ რაღაც დამადასტურებელი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ტურისტს, რომ დასაბუთებულად და გარანტირებულად ვირუსს არ ატარებს. ბუნებრივია საზღვარზე მკაფიო სერიოზული შემოწმება უნდა იყოს, ანუ, მგონი უსაფრთხოების ზომების დაცვა შესაძლებელია, ამ ყველაფერს საქართველო კარგად გაუმკლავდა. ჩემის აზრით, ტურისტული სეზონის გახსნა ცალსახად და მკაფიოდ არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფო საზღვრების გახსნას, ეს ორი სხვადასხვა რამეა. სომხეთში ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით რაც ხდება, ძალიან გული მტკივა, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა, ბუნებრივია, ალბათ სომხეთთან საზღვარი არ გაიხსნება, ასევე აზერბაიჯანშიც ამ მხრივ მთლად დალაგებული სიტუაცია არაა. კარგი იქნება თუ საქართველო სახმელეთო საზღვარს არ გახსნის და გახსნის მხოლოდ საჰაერო მიმოსვლას, სადაც შემოიწმება აეროპორტებში მოხდება" - მიიჩნევს პაატა ზაქარეიშვილი.

დედოფლისწყაროს ბაზარი გაიხსნა

ნათია დაახლოებით 20 წელია რაც ბაზარში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობს. მრავალი წლის მანძილზე, მოვაჭრეებს აწუხებდათ ბაზარში შექმნილი ანტისანიტარია. როგორც ის ამბობს, აქ არსებული ჰიგიენური ნორმები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. დაუცველები იყვნენ მოვაჭრეებიც და მომხმარებლები. **„გარეთ რომ ვიდექით, მეტი ვაჭრობა იყო, მაგრამ იმედი გვაქვს რომ მომხმარებელი ახლა სავაჭროდ რეაბილიტირებულ და სუფთა ბაზარში შემოვა"**. ბელა, რომელიც ბაზარში სანელებლებს ყიდის, ასევე კმაყოფილია ბაზრის რეაბილიტაციით. **„მრავალი წელია ბაზარში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოუწესრიგებელი იყო. კარგია, რომ ეს პრობლემა მოგვარდა"**. მის პოზიციას იზიარებს ბაზრის თითქმის ყველა მოვაჭრე. **„სჯობს, ასეთი ცივილიზებული ფორმით ვვაჭრობდეთ ყველა, ვიდრე გარეთ ვიდგეთ ყინვასა თუ სიცხეში, რომელსაც ჩვენს ჯანმრთელობასთან ერთად პროდუქციის ვარგისიანობაც ეწირებოდა."** - ამბობს ჯაბა. თუმცა არსებობს მოვაჭრეთა ის კატეგორიაც, რომელიც ბაზრის შიგნით ვაჭრობაზე უარს აცხადებს და ამბობს, რომ ამით „კლიენტს" დაკარგავს.

დედოფლისწყაროს ბაზარი 4 ივნისს გაიხსნა. წინა დღეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, კობა ქურციკიშვილთან ერთად დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზარში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვლიერა.

ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში ბაზრის შენობა გარემონტდა COVID-19-ის სტანდარტების შესაბამისად და მოეწყო ახალი სველი წერტილები.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, **ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ სოფლის პროდუქტები ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოში შეიძინონ, სადაც მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. შესაბამისად, აიკრძალება გარევაჭრობაც.**

ბაზრის შიდა პერიმეტრის მონიტორინგს სურსათის უვნებლობის სამსახური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და მერიის ზედამხედველობის სამსახური განახორციელებს.

1 ივნისი ანუ „ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“

თუკი თქვენთვის ოდესმე ვინმეს ან რაიმეს ღიმილი მოუგვრია, ეს ბავშვები ან მათთან დაკავშირებული ისტორიებია. ეგზიუპერმაც ხომ თქვა, „ჩვენ ყველა ბავშვობიდან მოვდივართო“ და ამით მიგვანიშნა, რომ ყველას გვაქვს ჩვენი პიროვნების პატარა ნაწილი,რომელიც უმეტესად დადებით ემოციებთან და მოგონებებთან სწორედ ბავშვობის გამო ასოცირდება. რა სჭირდება ბავშვს ჯანსაღი განვითარებისთვის? ამ კითხვას უმეტესობა თუ არა, გარკვეული ნაწილი უსვამს საკუთარ თავს და შემდეგნაირად პასუხობს კიდეც: ბავშვებს ჯანსაღი საცხოვრებელი, პიროგები საკვები, ტანისამოსი, განათლება, სიყვარულით სავსე ოჯახი, უდარდელი ბავშვობა... ბავშვებს უამრავი რამ სჭირდებათ.

ლელას, მრავალშვილიანი დედის სტატუსი აქვს მინიჭებული. სულ ახლახანს მესამე შვილი შეეძინა. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ბავშვები მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ. შეუძლებელია მათ გარეშე დღის წარმოდგენა. ამბობს, რომ მრავალშვილიანი დედის სტატუსი ბევრ უფლებასთან ერთად, ბევრ მოვალეობასაც აკისრებს. ფიქრობს, რომ განვითარებულ და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება, გარანტი იქნება თითოეული ბავშვისთვის, რომ იყვნენ უფლებრივად დაცულები, ჰქონდეთ ყველა რესურსით სარგებლობის საშუალება და ლაღი ბავშვობა. მისი აზრით, კი ეს მხოლოდ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს არ უნდა გვახსენდებოდეს. კითხვაზე თუ დღეს რა არის მისი ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი, გვპასუხობს: **„ ჩემი აზრით სწავლა ბავშვებისთვის უმნიშვნელოვანესია. ეს მათი განვითარების საწინდარია. ვფიქრობ,რომ სოფელში განათლებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. გაძლიერებული სწავლის შემთხვევაში კი ბავშვებს გადამზადება და რეპეტიტორები აღარ დასჭირდებათ და მშობლისთვისაც ეს გაცილებით მეტი შეღავათი იქნება.“**

წელს პირველი ივნისი მთელი მსოფლიოსთვის განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მსოფლიო პანდემიის პირობებში, გაიზარდა ბავშვთა სიღარიბის, მათ მიმართ ძალადობის და უგულებელყოფის საფრთხე. ლელას აზრით, პრობლემას წარმოადგენს განათლების მიღების შესაძლებლობაც, ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტთან და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან წვდომის არარსებობის გამო. ის აღნიშნავს, რომ კარანტინის რეჟიმი და იზოლაცია დამატებით დამთრგუნველ ფაქტორად იქცა და უარყოფითად აისახება ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე: **„მსოფლიო პანდემიის დროს ბავშვები დადგნენ საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობის წინაშე. ჯერ ის, რომ მათ ენატრებათ სკოლა, ბაღი, არიან გაღიზიანებულები , არ მოსწონთ სახლში სწავლა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ზოგს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა და ძალიან იჩაგრებიან. თვითონ რასაც ახერხებენ იმას სწავლობენ. პირადად მე, სოფელში არ მაქვს ინტერნეტი და სურათით ვასწავლი ხოლმე ჩემს უფროს შვილს, სურათს ვუღებ დავალებას და ისე ვუგზავნი მასწავლებელს. ეს ძალიან რთული პროცესია შეზღუდული რესურსების პირობებში.“**

ლელას სურვილები სწორედ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციაშია გაწერილი, რის მიხედვითაც ბავშვს აქვს: **სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება; მოქალაქეობის უფლება; ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლება; დამცირების, სასტიკი მოპყრობისა და დასჯისგან თავის დაცვის უფლება; ოჯახში აღზრდის და მშობლებთან კონტაქტის უფლება (მათთან განშორების შემთხვევაში); საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება; ინფორმაციის მოძიების, მიღების და გავრცელების თავისუფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება; განათლების უფლება; ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონის უფლება; სოციალური უზრუნველყოფის უფლება; დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება.**

რა როლის აქვს ამ ყველაფრის მიღმა სახელმწიფოს? სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარი ზომა, რათა შექმნას პირობები ბავშვთა უფლებების განხორციელებისათვის. სახელმწიფო დახმარებას უწევს მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს ბავშვის აღზრდაში. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის. **„კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: წამლები და განსაკუთრებით ბავშვის წამლები არის ძალიან ძვირი. ძალიან ძნელია ასეთი ფასების პირობებში ბავშვებისთვის წამლების ყიდვა. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ბავშვს საჭირო წამალი უყიდოს. თუმცა, არის პლუსებიც. სტატუსის მონიჭების შემდეგ დამენიშნა მუდმივი დახმარება, მივიღეთ ერთჯერადი 1000 ლარიანი დახმარებაც, რაც ძალიან კარგია და ნამდვილად კმაყოფილები ვართ. ბავშვებს ეს ნამდვილად ეხმარებათ. მინდა, რომ მივულოცო ყველა ბავშვს ბავშვთა დაცვის დღე და ჯანსაღ და რესურსებით ხელმისაწვდომ გარემოში ცხოვრება ვუსურვო“.**

ჩვენ ბავშვობიდან ვსწავლობთ სიყვარულს, ცუდისა და კარგის, შავისა და თეთრის გარჩევას. ვიძენთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს, ამავდროულად ვაანალიზებთ რომ ჩვენც ძვირფასები ვხვდებით სხვებისთვის და ამას უნდა მოვუფრთხილდეთ. გარდა ამისა, ძნელია იმის არ შემჩნევაც რომ ბავშვობას თან მაინც ახლავს პრობლემები. ეს თარიღი კი მსოფლიო საზოგადოებას შეახსენებს, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერესები და შეუქმნას მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და ღირსეული ცხოვრების პირობები.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

გაეროს ბავშვთა ფონდი: „ძირითადი მომსახურებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის“

თბილისი, 2020 წლის 1 ივნისი – ახალი კორონავირუსის პანდემიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ბავშვებსა და მოზარდებზე. გაეროს ბავშვთა ფონდს განსაკუთრებით აღელვებს იმ ბავშვების მდგომარეობა, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ძირითად მომსახურებებსა და რესურსებზე.

კორონავირუსის სწრაფად გავრცელებისადმი განსაკუთრებით დაუცველნი არიან ისეთ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, სადაც სივიწროვეა ან არ არის სათანადო პირობები - ხელსაბანი და სხვა სანიტარიული კვანძები და საშუალებები. გაეროს ბავშვთა ფონდის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით, საქართველოში 29 800 ბავშვს სახლში არ აქვს წყლითა და საპნით ხელის დაბანის პირობები. შესაბამისად, უფრო მაღალია ასეთი ბავშვების კორონავირუსით დაინფიცირების რისკი.

მიმდინარე კრიზისის პერიოდში ყველა ბავშვმა უნდა განაგრძოს სწავლა და შეძლოს სკოლაში უსაფრთხოდ დაბრუნება. ელექტრონული ინსტრუმენტებისა და ინტერნეტის კავშირის, შინ სათანადო სასწავლო გარემოს და მშობლების მხარდაჭერის ნაკლებობის გამო ისედაც გარიყული ბავშვები ჩამორჩენის საფრთხის წინაშე იმყოფებიან. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების ინტერნეტზე, თამაშისა და სწავლის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობას ხელს უშლის ასევე ხარისხიანი ინტერნეტის ნაკლებობა. საქართველოში 3-დან 17 წლამდე ასაკის 50 400 ბავშვს არ აქვს სახლში ინტერნეტი და კომპიუტერი.

„ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბავშვებს და მათ ოჯახებს ჰქონდეთ წვდომა უსაფრთხო და უვნებელ წყალსა და სანიტარულ პირობებზე, ინტერნეტზე, წიგნებსა და საგანმანათლებლო რესურსზე“, განაცხადა ღასან ხალილმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში.

„ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ძირითადი მომსახურებების გაძლიერებისათვის და თითოეული ბავშვისათვის სათანადო გარემოს შესაქმნელად, რათა ბავშვებმა შეძლონ საკუთარი უფლებებით სარგებლობა. სექტემბერში ძალაში შევა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს ბავშვთა ცხოვრებაში მათი კეთილდღეობის ხელშესაწყობად. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერას კოდექსის განხორციელებაში.“

ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის სექტემბერში მიიღო, ძალაში შედის 2020 წლის სექტემბერში. კოდექსი – ესაა ძოლგა დოკუმენტი, სპეციალური კანონი, რომელიც აერთიანებსბავშვის კეთილდღეობისათვის უმნიშვნელოვანეს ყველა ძირითად პრინციპს. ყველა სახელმწიფო უწყება, ადგილობრივი ხელისუფლება, სხვა ადმინისტრაციული უწყებები, საერთო სასამართლოები, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები და ფიზიკური პირები ბავშვებთან იმუშავებენ და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს მიიღებენ სწორედ აღნიშნული კოდექსის საფუძველზე .

unicef
for every child

ბავშვი და ბავშვი – გლდანის ხევი №6-ის ორი მსხვერპლი?

ვინ დატოვა გლდანის ხევის 6 ნომერში ახალშობილი, რომელიც 2 ივნისის დილას მეეზოვემ გარდაცვლილი იპოვა, ამის შესახებ გამოძიებას ჯერ პასუხი არ აძვს. ჰყავს თუ არა გამოძიებას ბრალდებული, ამ კითხვას შინაგან საქმეთა სამინისტროში „საქმის სენსიტიურობიდან გამომდინარე", არ პასუხობენ. როგორც უწყებაში მედიას პასუხობენ, „უნდა დაველოდოთ გამოძიებას".

2 ივნისის საღამოს, ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, რომელიც გლდანის ხევის 6 ნომერში მცხოვრებ მეზობლებსა და არასრულწლოვან რესპონდენტებს ეყრდნობოდა, "ჩვილი, სავარაუდოდ, იმავე კორპუსში მცხოვრებმა არასრულწლოვანმა ბინაში გააჩინა და ის მეექვსე სართულიდან გადმოაგდო". მეტიც, ამავე ტელეკომპანიის ინფორმაციით, რომელიც ჟურნალისტს ეზოში მოთამაშე არასრულწლოვანმა რესპონდენტებმა მიაწოდეს, ჩვილის გვამი ადგილზე მისულმა პოლიციელებმა „ლურჯ პარკში გაახვიეს და ნაგვის ურნაში დატოვეს, რომელიც მერე ნაგვის მანქანამ წაიღო".

ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს და რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ გვამი ექსპერტიზაზე სტანდარტების სრული დაცვით გადაასვენეს.

რაც შეეხება არასრულწლოვან გოგოს, ტელეკომპანიის ცნობით, რომელიც ასევე მეზობლების ნათქვამს ეყრდნობოდა, ის სამართალდამცავებმა დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განუმარტავენ რადიო თავისუფლებას, არასრულწლოვანი 2 ივნისს პოლიციაში მოწმის სახით, სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან ერთად გამოიკითხა, ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზები და ამჟამად ის სახლში იმყოფება. დამატებით დეტალებს შსს-ში ისევ და ისევ საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, არ ასაჯაროებენ.

არასრულწლოვანი გოგოს გამოკითხვის პროცესს დაესწრო სოციალური სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის ცენტრის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. გვანცა ღონღაძე, ცენტრის ხელმძღვანელი მოწმის სტატუსით დაკითხულ არასრულწლოვან გოგოს, რადიო თავისუფლებასთან საუბრისას „არასრულწლოვან დედად" მოიხსენიებს:

„რაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ჩვენი სამსახური გამოკითხვას დაესწრო საპროცესო წარმომადგენლად, რადგან დედა არის არასრულწლოვანი. საპროცესო წარმომადგენლობას სწევდა ჩვენი სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. ფსიქოლოგი არასრულწლოვანთან მუშაობას კვლავ გააგრძელებს. მას საბოლოო დასკვნა ჯერ არ დაუწერია, უბრალოდ ესწრებოდა გამოკითხვას იმიტომ, რომ გამოკითხვისას ბავშვი ფსიქოლოგიური ან ემოციური ზეწოლის მსხვერპლი არ ყოფილიყო".

გლდანი-ნაძალადევის ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, გამოკითხვის პროცესს არასრულწლოვანის მშობელი არ დასწრებია: **„არასრულწლოვანი დედა მოწმის სახით არის დაკითხული და რადგანაც ასეთი შემთხვევაა, ჯობია, რომ გამოკითხვისას საპროცესო წარმომადგენელი ყოფილიყო სოციალური მუშაკი. დანარჩენს უკვე გამოძიება დაადგენს".**

საქმის შესწავლა დაიწყო სახალხო დამცველმაც. ჯერჯერობით, ამაზე მეტს სახალხო დამცველის ოფისში რადიო თავისუფლებას არაფერს ეუბნებიან.

„მედია ვერ ასცდა სენსაციურობის ცდუნებას", - ასე აფასებს უფლებადამცველი ანა აბაშიძე, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი, გლდანის ხევის 6 ნომერში მომხდარ ფაქტსა და შემდგომ უკვე ამ ფაქტის გაშუქების ასპექტებს. ანა აბაშიძის თქმით, ამბის პირველი ვერსია, რომელიც 2 ივნისს, სატელევიზიო ეთერით გადაიცა, იყო გადაუმოწმებელი, რამაც ერთი მხრივ, საზოგადოებაში შექმნა არასწორი აზრი სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ქმედებების შესახებ და მეორე მხრივ, დაარღვია ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტი:

„მედიამ უნდა დაიცვას ზღვარი სენსაციას, საზოგადოებრივ ინტერესსა და სამართლიან გაშუქებას შორის. გუშინ, ამ ყველაფერს მედიამ თავი კიდევ ერთხელ ვერ გაართვა. ასეთი მგრძნობიარე და ტრაგიკული საქმის გაშუქება და შესწავლა, რომელსაც, დიდი ალბათობით, ორი მსხვერპლი ჰყავს - ბავშვი და ბავშვი, უნდა მოხდეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე. სიმართლეს, ცხადია, გამოძიება და სასამართლო დაადგენს, მაგრამ მანამდე, მედიამ უნდა თქვას უარი ცდუნებაზე იყოს მოსამართლე. ჩვენ, რეალურად, არ ვიცით, რა მოხდა. შესაძლოა, ჩვენ სახეზე გვყავს ორი მსხვერპლი და საერთოდ სხვა დამნაშავე. თუკი დამნაშავე არასრულწლოვანია, ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ის ბავშვია და უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმსაჯულების წესები ბავშვებთან მიმართებაში იცვლება. ამიტომ ნუ მოვიქცევით ისე, რომ მართლმსაჯულება დადგეს, მაგრამ მან შეიწიროს თუნდაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ინტერესები. ეს არ არის ყაჩაღობის ან ქურდობის საქმე, ეს არის სოციალური პრობლემა, და ასეთ სიტუაციებში, ხშირად, სასამართლოში სრულიად იცვლება სურათი და ვისაც დამნაშავედ თვლიდა საზოგადოება, საბოლოოდ, ის მსხვერპლი გამოდის. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ, შესაძლოა, ამ საქმეშიც იგივე შემთხვევასთან გვქონდეს საქმე და მანამდე ნუ გამოვიტანთ განაჩენს ნურც მედია და ნურც საზოგადოება".

თუკი გამოძიებით დადგინდება, რომ ჩვილი არასრულწლოვანმა დედამ მოკლა, იურისტი ანა თავხელიძე ამბობს, რომ ასეთ სიტუაციაში სასამართლომ არაერთი გარემოება უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის ისიც, ხომ არ იყო თავად არასრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლი:

„გამოძიებამ უნდა იკვლიოს, ვინ არის ჩვილის მამა, ხომ არ იყო მოზარდი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, იყო თუ არა ბავშვი აღრიცხვაზე სამედიცინო დაწესებულებაში, ჰქონდა თუ არა ამის შესახებ ინფორმაცია პოლიციას, აუცილებლად უნდა შეფასდეს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა".

გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 112--ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას მშობიარობისას ან მშობიარობის შემდეგ უმალვე და ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული არასრულწლოვანია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუკი მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

რა აწუხებს ყვანჩალას?

„ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა,
ზაფხულის ტყეებს გადაახალა "

გალაკტიონი

რამდენიმე დღის წინ თბილისის ცენტრალურ გამზირზე ჰიჩკოკისეული სცენარი გათამაშდა. მთავარი მოქმედი პერსონაჟები ყვავები და მოქალაქეები იყვნენ. აგრესიული ყვავები გამვლელებს თავს ესხმოდნენ. მოქალაქეები პანიკამ შეიპყრო. სოციალურ სივრცეში ამ ფაქტის ამსახველი ვიდეოები და ფოტოები გავრცელდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ამბის მთავარი „დამნაშავე" ბახალა აღმოჩნდა, რომელიც ფრენის სწავლისას დაბლა ჩამოვარდა.

ყვავების თავდასხმისა და აგრესიის მიზეზი ბუდიდან ჩამოვარდნილი ბახალაა. მშობლიური წყვილი ასე მათ გამვლელებისგან იცავს, - ამის შესახებ Imedinews-ს თბილისის ზოოპარკის დირექტორმა, ზურაბ გურიელიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, ყვავების მოქალაქეებზე თავდასხმა ყოველ წელს ამ დროს ხდება, როდესაც ბახალები ფრენას სწავლობენ და ბუდიდან ვარდებიან. მათ დასაცავად კი მშობლიური წყვილი გამვლელებს თავს ესხმის.

„მსგავსი შემთხვევა მეც მქონდა. რუსთაველის გამზირზე ბახალა იყო ჩამოვარდნილი და დაგვირეკეს. მივედით და ძირს ჩამოვარდნილი ბახალა ვიპოვეთ. სწორედ ამ დროს თავს ყვავები დამესხნენ და მცემეს. ასეთ დროს მოქალაქეებს ვურჩევ, თავდასხმის დროს სახე დაიფარონ და მსგავს ადგილების სიახლოვეს გავლას მოერიდონ. უნდა იცოდნენ, რომ სადღაც მახლობლად ბახალაა ჩამოვარდნილი და ყვავები მას ასე იცავენ. ყვავი ძალიან სოციალური ფრინველია და თავის ნაშიერს"

შვილები: ნინო, მაია, ლალი; სიძეები: დავით უტიაშვილი, თემურ ალუღიშვილი, გია გოგოშვილი; შვილიშვილები: ლევან და თამთა უტიაშვილები, ირაკლი და თაკო ალუღიშვილები, მარიამ და ზურაბ გოგოშვილები; რძალი: ირმა გეგეშიძე; სიძეები: ლევან ცაკაშვილი და ირაკლი წულაია; შვილთაშვილები: ნინო და თამარ უტიაშვილები, ანასტასია და თინათინ ცაკაშვილები იუწყებიან

ზურაბ ალადაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 02.06.2020, ქ.დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ასოციაციის საპატიო წევრს, კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძეს მეუღლის, დავით და მარიამ გერსამიებს მამის - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს

ედუარდ გერსამიას

გარდაცვალების გამო.

მერაბ და ნოდარ ფიროსმანაშვილები, ნოდარ პოპიაშვილი ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ თემურ ალუღიშვილსა და მაია ალადაშვილს მამის,

ზურაბ ალადაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ.დედოფლისწყაროს ევდოშვილის სახელობის ქუჩის მცხოვრებლები იუწყებიან

ზურაბ ალადაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს: ნინო, მაია და ლალი ალადაშვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს.

სისხლის მაგია

სიყრმის მეგობარს, სისხლის-
მიერ დასა და კლასელს –
ქეთი ნატროშვილს

შორს, მიღმეთიდან კვამლი
მოხრჩოლავს,
თითქოს შედღვიბეს ზეცის თავანი,
მუხლებზე მიწევს თეთრი ბოჩოლა-
ყველა ამ შარის ავან-ჩავანი.
შენს ერთგულ მზერას,მზრუნველს და
ქომაგს,
ახლაც უსიტყვოდ ისე მივენდე,
ბოჩოლას წულიან თვალებით მომაქვს
ჩვენი ჩავლილი წლების სინედლე.
თუმცა ამბობენ დახურულ კარზე
მეორედ აღარ აკაკუნებენ,
მაგრამ შენს სახლში გულიც რომ არა,
ფეხები თვითონ დაგაბრუნებენ.
და ჰა,მოვედი,უნდა აქ ვიყო,
მოვჭირვეულდი,როგორც "ურმული",
ოღონდ წარსული უნდა გამიყო,
შენს თბილ უბეში შემოეუჭული.
დაღლილი გულის სისხლს რომ მამლე-
ვდი,
როცა ჩემს კართან თვლემდა წუვდიადი,
ნეტავ თუ გრძნობდი, რომ ამ ძარღვებ-
ში,
ბავშობასავით შემოწრიალდი.
ნასესხებ დღეებს, ჩემზე მგლოვიართ,
ათასი მტერი,ვიცი, დევნიდა,
ერთხელაც როგორც შეშლილ როიალს,
გამაბრძანებენ დიდი სცენიდან.
მანამდე ვალებს ვიხდი ლექსებად,
ვით გულის ცეცხლით ნაწრთობ მონე-
ტებს,
ვის საწყაული როგორ ევსება ,
ცხოვრება თვითონ გაატოლმეტებს.
მეც ხსოვნის ჯაჭვში ვინმე ჩამაქსოვს
ვითომ განცდილი, უხმო გალობით,
მაგრამ ჩემს ბეჭებს მწარედ რად ახსოვს
მნელად სათრევი ტვირთი ქალობის?!
-შენც წუთისოფლის ფუჭი განცდა ხარ,-
თითქოს ჩამძახის ვიღაც შემდეგი,
-მე თქვენს ამქარში ვარ და არცა ვარ
და ამ ბაქანზეც წამით შევდექი.
როცა ნასხვისი ურმობაც მტკივდება,
გულზე ვიკიდებ ნაღრმობ ხელივით,
აქ დიდობანა რომ მომწყინდება,
იქ ,ვით წალკოტში ,ისე შევივლი.
მაშინაც ,სანამ დასტურს გიცხადებს,
გული,რომელიც ასე გენდობა,
მაკლისარ,როგორც სიზმარს სიცხადე
და უთვისტომოს - კაცის შენდობა.
დღეს თუ შენს სულში ღამე მეთევა,
იმედების და თეთრი ამინდის,
მე ამაყი ვარ ჩემო ქეთევან,
ძარღვში რომ შენი სითბო დამიდის,
და ჰა, მამლებმაც ზეცა შესისხლეს,
მომიგვირილებს სავალს კვსანე,
მადლობა, რომ არ შემოგესხვისე
და მიერთგულე ბოლო კვნესამდე.
მაგრამ ერთხელაც ადრე დილიდან,
თუ ვერ წამაწყდი სადმე შემთხვევით,
მე გავიჰარე გაკვეთილიდან...
ალბათ , ოდესმე ისევ შევხვდებით.

მარინე ცხვედიაშვილი
21.05.20

ულოცავენ!

ფატი ზურაშვილს!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო, ამაგიანო და თავდადებულო თითოეული ჩვენგანისათვის. გულწრფელად გილოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს. მართალია, ამ ბოლო დროს ჯანმრთელობა გღალატობს, მაინც ჩვენი დიდი იმედი ხარ. ამიტომ გვინდა, იყო ძველებურად მხიარული, მხნე და სიცოცხლეზე შეყვარებული. დიდხანს იცოცხლე და გაიხარე ჩვენთან ერთად. **სიყვარულით, შენი და** ლუიზა ზურაშვილი, **დისშვილები:** თამაზი, ზურა, ნელი ქენქაძეები ოჯახებით

ჩვენო მონატრებულო ფატი, თითქმის ორი წელია, ავადმყოფობის გამო, ვეღარ მოდიხარ ჩვენთან-სათნოების სახლში. მოგონებად დაგვრჩა შენი ხალისიანი ურთიერთობა და ზარივით წკრიალა ხმით შესრულებული სიმღერები. გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს და სიცოცხლეს და სიხარულს გისურვებთ.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარები.

ჩვენო ალალ-მართალო და მოსიყვარულე მეზობელო, გილოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს. იყავ ჯანმრთელი, იცოცხლე დიდხანს და შენს ახლობლებთან ერთად იყავ ბედნიერი.

პატივისცემით,
ქ.დედოფლისწყაროს ირ. ევდოშვილის სახელობის ქუჩის მაცხოვრებლები.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო 80 წლისთავს. შენ გულწრფელი, მოსიყვარულე და ჰუმანური ადამიანი ხარ და ამიტომ იმსახურებ ჩვენს პატივისცემას. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და გახარებას შენს ახლობლებთან ერთად.

უახლოესი მეგობრები: ლაპიაშვილი სეიფო, შანშიაშვილი მანანა, გონაშვილი მზია, მჭედლიშვილი ნანა, ალადაშვილი გულო, სარალიძე ცაცა.

მეგი ნანობაშვილს!

გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მართალია საკუთარი ოჯახი არ გყავს, მაგრამ შენ ამით არ გაბოროტებულხარ, პირიქით, შენ ხარ სიკეთის განსახიერება, ჩვენს და ყველას მიმართ, ვინც შენს ირგვლივ იმყოფება. შენმა სიკეთემ, სათნოებამ, გულკეთილობამ გაგიხანგრძლივოს სიცოცხლის წლები. შენ მზესავით ცხოვრობ, რომელიც სითბოს გასცემს და სამაგიეროს არ ითხოვ. შენ არამარტო ჩვენი, არამედ ჩემი დისშვილების მეგი მამიდა ხარ, რომლებსაც ძალიან უყვარხარ. შენი იმედი არასოდეს მოგვშლოდეს. **ღმერთი იყოს ყოველთვის და ყველგან შენი მფარველი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით**

დეიდაშვილი გურამი, **რძალი** მარინე მოლაშვილები **ოჯახით.**

მერაბ როგიტაშვილს!

ბედნიერი დრო გვქონდა, როდესაც ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობდით სოფლის მეურნეობის სამმართველოში, ერთი იყო ჩვენი ჭირი და ლხინი, სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით გავლიეთ ათეული წლები. ახალგაზრდები ვიყავით და ყველაფერი გვიხაროდა. ხანგრძლივად ემსახურე შენს საყვარელ მცენარეთა დაცვის საქმეს პირნათლად, წარმატებულად. დაგიფასდა კიდეც მრავალი სიგელით თუ დიპლომით. 2014 წელს კი საქართველოს მასშტაბით „მეტრის" ნომინანტი გახდი. 80 წელი შეგისრულდა, გილოცავთ. კარგი მეუღლე, კარგი შვილების მამა და პაპა ხარ. გაიხარე შენს დიდ ოჯახთან ერთად, იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი.

პატივისცემით,
სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ჯემალ კვანჭილაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, უშანგი გონაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, თენგიზ იაკობიშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი, ჟუჟუნა კოჭლამაზაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 08.06	სამშაბათი 09.06	ოთხშაბათი 10.06	ხუთშაბათი 11.06	პარასკევი 12.06	შაბათი 13.06	კვირა 14.06
დღე	26°	27°	27°	29°	29°	30°	31°
ღამე	17°	18°	18°	20°	21°	23°	24°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.